სს „თიბისი ბანკი“ გთავაზობთ „გირავნობის ხელშეკრულების სპეციალური პირობებში“ (შემდგომში „სპეციალური პირობები“) შემდეგი ცვლილებ(ებ)ის/დამატებ(ებ)ის შეტანას:

1. <u>**სპეციალური პირობების მე-5 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**</u>

5. დასკვნითი დებულებები

5.1. გირავნობა ძალაში შედის გირავნობის უფლების სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით (ბანკის მიერ მისი მოქმედების შეწყვეტის წერილობით დადასტურებამდე).

5.2. მხარეთა შორის კომუნიკაცია რეგულირდება გირავნობის ხელშეკრულების ძირითადი პირობებით.

5.3. იმ საკითხების მოწესრიგებისას, რომლებიც გირავნობის ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

5.4. მხარეები თანხმდებიან, რომ ბანკის ვებგვერდზე განთავსებულ და ბანკის მონაცემთა ბაზებში (კომპიუტერულ პროგრამებში) დაცულ ინფორმაციას, ამ ინფორმაციის ბანკის მიერ დამზადებულ ელექტრონულ ასლებსა და ამონაბეჭდებს, რომელიც დამოწმებულია ბანკის მიერ, აქვს მტკიცებულებითი ძალა გირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებული ფაქტების არსებობა-არარსებობის დადასტურების მიზნებისთვის.

5.5. მესაკუთრეს არ აქვს უფლება, ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, გადასცეს მესამე პირს მასზე გირავნობის ხელშეკრულებით დაკისრებული ნებისმიერი ვალდებულება ან მისთვის მინიჭებული უფლება.

5.6. ბანკს უფლება აქვს, მესაკუთრის თანხმობის გარეშე, მესამე პირს მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს გირავნობის ხელშეკრულებით შეძენილი ნებისმიერი უფლება.

5.7. გირავნობის ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეებისა და სამართალმემკვიდრეებისთვის (მათ შორის გირავნობის საგნის ახალი მესაკუთრისთვის). ამასთან, გირავნობის საგნის უფლებამონაცვლე ვალდებულია, გირავნობით დატვირთული ქონების საკუთრებაში მიღებისთანავე, მიმართოს ბანკს და მიიღოს ბანკისგან ინფორმაცია გირავნობით უზრუნველყოფილი ვალდებულებების, მოვალეების/მსესხებლების და გირავნობის ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებების შესახებ, რომელიც შესაძლოა არ იყოს წარდგენილი სარეგისტრაციოდ, შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში.

5.8. მხარეები ადასტურებენ, რომ გირავნობის ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა გირავნობის ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტო სიტყვასიტყვითი მნიშვნელობიდან გამომდინარე.

5.9. გირავნობის ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, გარდა სპეციალურ პირობებში განთავსებული პირობის ცვლილების ან/და ამავე პირობებში შესატანი დამატებ(ებ)ისა, რომელიც შეიცვლება ბანკის მიერ ცალმხრივად, გამოქვეყნდება წინამდებარე დოკუმენტის გამოქვეყნებისთვის დადგენილი

წესით და ძალაში შევა გამოქვეყნებისთანავე. გირავნობის ხელშეკრულებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება, მათ შორის, მესაკუთრისგან მიღებული თანხმობა, წარმოადგენს გირავნობის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, იმ შემთხვევაშიც, თუ არ არის წარდგენილი შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მიზნით.

5.10. თუ გირავნობის ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია ან მომავალში გახდება ბათილი, აღნიშნული არ გამოიწვევს მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას. გირავნობის ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები/პუნქტები განაგრძობს მოქმედებას ბათილი დებულების გარეშე.

5.11. გირავნობის ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გირავნობის ხელშეკრულების არაქართულენოვანი ვერსია და ქართულ და არაქართულ ვერსიებს შორის აღმოჩნდება შეუსაბამობა, უპირატესობა მიენიჭება გირავნობის ხელშეკრულების ქართულენოვან ვერსიას.

5.12. ბანკის საზედამხედველო ორგანოა საქართველოს ეროვნული ბანკი (მისამართი: 0114 თბილისი, სანაპიროს ქუჩა № 2; ვებგვერდი: www.nbg.gov.ge).

2. <u>გაუქმდეს სპეციალური პირობების მე-6 მუხლი.</u>